შპს „საქაერონავიგაცია“
„SAKAERONAVIGATSIA“ Ltd

№ 8/393 „ 05 “ 04 2023

სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“

თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ 2023 წელს შპს "საქაერონავიგაცია" დაარსების 30 წლის იუბილეს აღნიშნავს. კომპანიამ ბოლო წლებში, საავიაციო სექტორში COVID-19-ით გამოწვეული გლობალური კრიზისის მიუხედავად, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა და თავის მომხმარებელს ბევრი სიახლე შესთავაზა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ განთავსდეს პუბლიკაცია ჟურნალში „სახე(ლ)ები" და სარეკლამო მასალა მსოფლიოში ცნობილი გაზეთის „ნიუ იორკ თაიმსის“ ინტერნაციონალურ გამოცემაში The Big Ideas.

2019 წლიდან „საგამომცემლო სახლი სახე(ლ)ები“ თანამშრომლობს და სამი სალიცენზიო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული The New York Times Sindication Sales Corporation d/ba The New York Times Licensing Group - თან. ამ თანამშრომლობის შედეგად მედია პროექტები მზადდება და იბეჭდება შემდეგ ინტერნაციონალურ გამოცემებში:

- Turning Points Global Agenda;
- The Big Ideas – What Is Power?
- The Big Ideas – Why Does Art Matter?
- Cuba - Revolution 60.

თითოეული მედიაპროექტი კონკრეტული თემით გამოიცემა მხოლოდ ერთხელ, რაც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული თემის ირგვლივ მხოლოდ „საგამომცემლო სახლი სახე(ლ)ები“ ფლობს საქართველოში ერთჯერადად მომზადების და გამოცემის უფლებას.

საჟურნალე ფორმატის გამოცემა The Big Ideas, რომელსაც წელს წლის განმსაზღვრელ გამოცემას უწოდებენ, მსოფლიოს 21 ქვეყანაში გამოიცემა, საქართველო არის 22-ე ქვეყანა. გამოცემის 50% მზადდება და ლიცენზიანტს მიეწოდება „ნიუ იორკ თაიმსის“ მიერ, დანარჩენი 50% კი საქართველოში ლიცენზიანტის მიერ მომზადდება.

Airport Tbilisi
0190 Georgia
Tel.: (995 32) 2 744 212
(995 32) 2 744 306
http://www.airnav.ge
E-mail: office@airnav.ge

თანამშრომლობის პრინციპი ეფუძნება The New York Times-ის მიერ შექმნილი და მოწოდებული საავტორო პუბლიკაციების და „საგამომცემლო სახლი სახე(ლ)ების“ მიერ მომზადებული პუბლიკაციების და სარეკლამო-საიმიჯო მასალების ერთ გამოცემაში თავმოყრას და გავრცელებას როგორც ბეჭდური, ასევე ონლაინ სახით (სოციალურ მედიაში, საერთაშორისო პლატფორმაზე). ბეჭდური გამოცემების ტირაჟის 20% იყიდება წიგნის მაღაზიებში, ხოლო 80% რიგდება უფასოდ პრეზენტაციებზე, სახელმწიფო უწყებებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, საელჩოებში, ბიზნეს-კომპანიებში, კულტურის და სახელოვნებო წრეებში.

ზემოთქმულის გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, დაგვრთოთ ნება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შევისყიდოთ პუბლიკაციის ბეჭდვის მომსახურება შპს „საგამომცემლო სახლი სახე(ლ)ებისგან“, რომელსაც გააჩნია ზემოთ აღნიშნული ჟურნალის ექსკლუზიური გამოცემის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე.

წერილს თან ერთვის შპს „საგამომცემლო სახლი სახე(ლ)ების“ მიერ ჟურნალ ,,The Big Ideas''-ს გამოცემის ექსკლუზიური უფლების დამადასტურებელი წერილები.

CPV 79340000 სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებები.

შესყიდვის ღირებულებაა 15000 ლარი.

დანართი: 2 ფურცელი (ექსკლუზივის დამადასტურებელი დოკუმენტები).

პატივისცემით,

გოჩა მეზვრიშვილი

გენერალური დირექტორი

Gocha Mezvrishvili

Digitally signed by Gocha Mezvrishvili
Date: 2023.04.05 14:14:01 +04'00'

The New York Times

March 15, 2023

Nick Papadopoulos
Regional Manager- EMEA

18 Museum Street,
London, WCIA IJN
United Kingdom

Tel: +44.20.7061.3524
npapadopoulos@nytimes.com

To Whom It May Concern:

This letter is to confirm that LTD Publishing House Sakhe(I)ebl (Faces & Names) has Agreements with The New York Times Syndication Sales Corporation d/ba The New York Times Licensing Group, dated January 17, 2023 for the publication of licensed editions of the following publications in the territory of Georgia.

- Turning Points: Global Agenda
- Cuba: Revolution 60
- The Big Ideas - What is Power?

Sincerely,

;V-

Nick Papadopoulos

NP:kw

FACES & NAMES with essays from The New York Times

The Big Ideas

17.03.2023

აღნიშნული წერილი ადასტურებს, რომ ნიუ იორკსა და საგამომცემლო სახლი „სახე(ლ)ებს“ (ს.კ.204441773) შორის გაფორმებული სალიცენზიო ხელშეკრულების თანხმად, საგამომცემლო სახლი „სახე(ლ)ები“ ფლობს ნიუ იორკ თაიმსის სამი მედიაპროექტის (ჟურნალის):

The Big Ideas -What Is Power?
Turning Points: Global Agenda;
Cuba: Revolution 60

ერთჯერადად გამოცემას (როგორც ბეჭდური, ასევე ონლაინ) და გავრცელებას ექსკლუზიურ უფლებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სალიცენზიო ვადის მოქმედების პერიოდში (2023 წელი).

The Big Ideas ნიუ იორკ თაიმსის სალიცენზიო გამოცემაა, რომლის მთავარი თემა ყოველწლიურად სხვადასხვაა. მიმდინარე სალიცენზიო თემაა What Is Power? (რა არის ძალაუფლება?) შინაარსი (სტატიები, ესსები) მოწოდებულია ნიუ იორკ თაიმსის მიერ. ლიცენზიანტი კომპანიის მიერ დამატებულია სტატიები, სარეკლამო და საიმიჯო მასალები ქართული რეალობიდან.

გამოცემის ვადა განსაზღვრულია 2023 წლის 30 აპრილამდე.

შპს საგამომცემლო სახლი სახე(ლ)ების დირექტორი

ნანა აკობიძე